



# გახდი ოლიმპიელი 2018

10 ივნისს კვირას, 16:00 საათზე სასტუმრო რადისონ ბლუ ივერიას ბოლრუმ დარბაზში გაიმართა მათემატიკის უფასო ოლიმპიადის "გახდი ოლიმპიელი 2018"-ის გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონია.

ღონისძიებას დაესწრო სხვადასხვა სექტორის 300-მდე წარმომადგენელი მათ შორის, საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ბატონი გენადი მარგველაშვილი და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე გიორგი ჩერქეზიშვილი!

დაჯილდოების ცერემონიაზე ასევე სიტყვით გამოვიდნენ მათემატიკის 58-ე საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადის (IMO 2017) ნაკრების წევრები, რომელთაც 2017 წელს 1 ოქროს, 2 ვერცხლის და 3 ბრინჯაოს მედალი ჩამოიტანეს.

დასაჩუქრდა სამი გამარჯვებული და 8 სპონსორის რჩეული.

